პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---ნოემბერი 2024 წელი

ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, გიორგი ტერევერკოს ქუჩასთან არსებული ორი უსახელო გასასვლელისთვის გიორგი ტერევერკოს I და II გასასვლელების სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. დიდუბის რაიონში, გიორგი ტერევერკოს ქუჩასთან არსებული ორ უსახელო გასასვლელს მიენიჭოს გიორგი ტერევერკოს I და II გასასვლელების სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**


X:480979 Y:4624992
X:481113 Y:4624993
X:481113 Y:4624949
X:481079 Y:4624925
გიორგი ტერეზერკოს II გას
გიორგი ტერეზერკოს I გას
X:481078 Y:4624839
X:481112 Y:4624839
X:480980 Y:4624821

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
დიდუბის რაიონის გამგეობა
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
DIDUBE DISTRICT GOVERNMENT

წერილის ნომერი: **32-01241971287**
თარიღი: **15/07/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

16-032419782-03.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს,
ქალბატონ ნინო ვარდოსანიძეს

ქალბატონო ნინო,

თქვენი კომპეტენციის შესაბამისად, რეაგირებისთვის გიგზავნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობაში, 2024 წლის 12 ივლისს, მოქალაქე ალექსანდრე გაგნიძის მიერ წარმოდგენილ N19/01241942510 - 32 განცხადებას, რომელიც შეეხება დიდუბის რაიონში მდებარე გიორგი ტერევერკოს ქუჩის პირველი შესახვევისთვის (რომელიც, განმცხადებლის განმარტებით სამია და დაბნეულობას იწვევს), სახელის გადარქმევას და შემდეგ, ნუმერაციას.
დანართი: ალექსანდრე გაგნიძის განცხადება 1 ფაილი.

პატივისცემით,

ვლადიმერ ძნელაძე

დიდუბის რაიონის გამგეობა-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (გამგებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დიდუბის რაიონის გამგებლის მ/მ
ბატონ მამუკა ვეკუას

მოქ. [illegible]

მცხ. [illegible] 12

ტელ. 599 659987

პ/ნ 01006010015

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

[illegible]

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032425396**
თარიღი: **09/09/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დიდუბის რაიონის გამგებლის ვლადიმერ ძნელაძის 2024 წლის 15 ივლისის საქმე #16-032419782-03 დაკავშირებით.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ გიორგი ტერევერკოს ქუჩის ჩიხების სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 5 (ხუთი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01242701493**
თარიღი: **26/09/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

17-032427069-03.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

ბ-ნ ლევან აბაშიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო ლევან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 09.09.2024 წლის #03-032425396 (09.09.2024 წ. #14-01242533958-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი